საქართველოს ლანდშაფტების რესურსული პოტენციალის გეოსტატისტიკური ანალიზი

__რომან მაისურაძე__
ელ-ფოსტა: roman.maisuradze419@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 0179 ჭავჭავაძის #3, თბილისი
__ნელი ჯამასპაშვილი__
ელ-ფოსტა: njamaspashvili@gmail.com
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 0179 ჭავჭავაძის #3, თბილისი

ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის შედეგების შესაძლებელი გამოყენებითობა საზოგადოების, ეკონომიკის, მდგრადი განვითარების თუ ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხში. აღნიშნული ნაშრომიც მსგავს ხასიათს ატარებს. ნაშრომი ემყარება 2009-2012 წლებში განხორციელებული სამეცნიერო პროექტის „საქართველოს ახალი ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა“ შედეგებს.

აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ, შედგენილი მონაცემთა ბაზის დამუშავების და მიღებული შედეგების გეოსტატისტიკური დამუშავების შედეგად გამოიკვეთა სამეცნიერო მუშაობის სხვადასხვა მიმართულებები, მათგან ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ლანდშაფტების რესურსული პოტენციალის დადგენა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით რეკომენდაციების შემუშავება.

2012 წელს შედგენილი საქართველოს ლანდშაფტური რუკა და გეოინფორმაციული სისტემა საქართველოში ჯერჯერობით ყველაზე ახალ და თანამედროვე მეთოდებით შედგენილ საშუალომასშტაბიანი კვლევის შესაბამის სამეცნიერო პროდუქციას წარმოადგენს. აღნიშნული კვლევის მასშტაბის გათვალისწინებით ჩავატარეთ გეოსტატისტიკურ-კარტომეტრიული ანალიზი და თემეტური შედეგების დაჯგუფება, რამაც საკმაოდ საინტერესო შედეგი მოგვცა.

საქართველოს ლანდშაფტების რესურსული პოტენციალის შეფასება ხანგძლივი პროცესია, ამ ეტაპზე დავიწყეთ მისი რამოდენიმე თემატიკის განხილვა, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩვენს მიერ იქნა დამუშავებული, გამოთვლილი და კლასიფიცირებული. აღნიშნული თემატიკიდან ამ ეტაპზე განვიხილავთ: 1. ლანდშაფტების ხელუხლებლობის მაჩვენებლებს და ტრანსფორმაციის ხარისხს. 2. ლანდშაფტების ეკოლოგიურ მნიშვნელობას, 3. ლანდშაფტების ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს, 4. საქართველოს ლანდშაფტების რესურსულ პოტენციალს ტყის რესურსების თვალსაზრისით და 5. საქართველოს ლანდშაფტების რესურსულ პოტენციალს სამეურნეოდ ვარგისი მიწის ფონდის რესურსული პოტენციალის შეფასების თვალსაზრისით.

ჩატარებული კვლევის შედეგად, ჩამოთვლილი თემატიკის მიხედვით დავადგინეთ ხელუხლებელი, კვაზიხელუხლებელი და უმნიშვნელოდ ტრანსფორმირებული ლანდშაფტების ფართობები, ასევე ძლიერ გარდაქმნილი ლანდშაფტების ფართობები და მათი ხვერდითი წილი საქართველოს ტერიტორიის ფონზე, ასევე ტყის და სამეურნეოდ ვარგისი მიწის ფონდის ფართობები მათი რესურსული პოტენციალის მიხედვით, ლანდშაფტების ეკოლოგიური მნიშვნელობა, მაღალი, საშუალო და დაბალი ეკოლოგიური მნიშნელობის მიხედვით და ლანდშაფტების რეკრეაციული მნიშვნელობები, შესაბამისად ძალიან მაღალი, მაღალი და საშუალო რეკრეაციული მნიშვნელობის გათვალისწინებით.

აღნიშნული შეფასება საშუალებას გვაძლევს მაქსიმალური სიზუსტით იქნას მოხაზული თითოეული სფეროს განვითარების სტრატეგია ქვეყნის მდგრადი განვითარების სფეროში.